ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 591
10/05/2018

591-09-3-201805101017

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საავტომობილო გზისპირის მიმდებარედ დაზიანების ან/და მომეტებული საფრთხის შემცველი, ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების (საშეშე და სამასალე მერქნის) შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის უფროსის მიხეილ სადრუჟიანცის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საავტომობილო გზისპირის მიმდებარედ დაზიანების ან/და მომეტებული საფრთხის შემცველი, ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების (საშეშე და სამასალე მერქნის) შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქ.N126-ში 1 ძირი ჭადრის ხის მდგომარეობა. შედგენილია შესაბამისი აქტი (თან ერთვის),

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

მიხეილ სადრუჟიანცი

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ზედამხედველობის სამსახური

საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2923
23/05/2018

2923-09-2-201805231449

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მწვანე ნარგავის) განკარგვის უფლების განხორციელებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომმართა მოქალაქე დავით გულიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში, მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მიმდებარედ არსებული ჭადრის ხის გადაბელვა. აღნიშნული საკითხი შეისწავლა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საავტომობილო გზისპირის მიმდებარედ დაზიანების ან/და მომეტებული საფრთხის შემცველი ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების (საშეშე და სამასალე მერქნის) შემსწავლელმა სამუშაო ჯგუფმა და შეადგინა 2018 წლის 7 მაისის N8 აქტი, (წარმოგიდგენთ დანართის სახით) რითაც მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული ხის გადაბელვა.

ზემოაღნიშნული ქონება (მწვანე ნარგავი), ვინაიდან წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას, მართებულად მიგვაჩნია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საკითხი განხილულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაფინანსდება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხვედელობის სამსახურის უფროსის, თენგიზ ხელაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ : ალექსანდრე სარიშვილს

მოქალაქე : დავითი ქოლიშვილი

მცხოვრები : ქ. თბილისი ზენდელიანი 1° ბ.29

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წყალნი აღვსანდრე

მოგახსენებთ რომ, ქ. ლანჩხუთში ყოფილ ქ. 126-ში მდებარეობს ჩემს საკუთრებაში არსებული ეზოსკენ ჩინარი-ბაკურიძე, რომელსაც წინა მხარეს, ზედ ჩინარის მიჯნით ესაზღვრება ბაღრის ჯიშის ხე-მცენარე, რომლის ხის ტოტები და ფოთლები ანიავებს ჩინარის სახურავს, რომელიც ძალიან ძველია, ანიავებს და საკუთარ ეზოში სახურავის წყალსადინარ სისტემას, საიდანაც ოჯახს ჩავიდა წყალი იქ განთავსებულ ავზებში. ასევე ეზოს ეჯახება ჩინარის და სარდაფში ირეცხება წყალი.

გთხოვთ დახმარებას რომ, შეჭრათ ჩასაბარი კომისია და მოგვეთიანა აღნიშნული ხე-მცენარის გადაზიდვის ან მოჭრის საკითხებ

2966
3 04 18

განმცხადებელი : დ. ქოლიშვილი

ტელ.ნომერი: 599-72-37-86

თარიღი , თვე წელი: 3.04.2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საავტომობილო გზისპირის მიმდებარედ დაზიანების ან/და მომეტებული საფრთხის შემცველი, ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების (საშეშე და სამასალე მერქნის) შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის

ა ქ ტ ი N8

07. 05.2018 წ.

2018 წლის 7 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საავტომობილო გზისპირის მიმდებარედ დაზიანების ან/და მომეტებული საფრთხის შემცველი, ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების (საშეშე და სამასალე მერქნის) შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მოქალაქე დავით გულიშვილის განცხადება (N2966. 03.04. 2018 წ.), რომელიც ეხება 1 ძირი ჭადრის ხის მდგომარეობას.

ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული ხე ესაზღვრება ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში დავით გულიშვილის საკუთრებაში არსებულ შენობას, ხე შენობიდან მოშორებულია 10 სმ-ით, ქარის დროს ჭადრის ხე ირხევა და ეხება შენობის აივნის პარაპეტს, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შენობის დაზიანება, ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები ილექება წყალმიმღებ სისტემაში, ხდება წყლის დაგროვება სახურავზე, რაც გამოიწვევს სახურავის და კედლების დაზიანებას.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით აღნიშნული ხე საჭიროებს 4 (ოთხი) მეტრი სიმაღლეზე გადაბელვას.

1 .მიხეილ სადრუჟიანცი - ჯგუფის უფროსი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. ბეგი ცინცაძე- ჯგუფის წევრი
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
მეტყევე.

3 .ლავრენტი ჩხარტიშვილი- ჯგუფის წევრი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის,
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

4.ვახტანგ შალიკაშვილი- ჯგუფის წევრი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის,
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის მაისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მწვანე ნარგავის) განკარგვის უფლების განხორციელებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - მწვანე ნარგავის (ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N126-ში, დავით გულიაშვილის საკუთრებასთან არსებული ჭადრის ხე) განკარგვასთან - გადაბელვასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 3013
30/05/2018

3013-09-2-201805301219

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მომზადებულ 2018 წლის 23 მაისის N2923 განმარტებით ბარათთან დაკავშირებით, დამატებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მწვანე ნარგავის) განკარგვის უფლების განხორციელებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გიორგი ფაცურია

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა